



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 05-04-11/376

ქ. თბილისი

18 03 2020წ.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით  
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულების საფუძველზე, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე

ვბრძანებ:

1. აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლებს, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა ნებისმიერ თანამშრომელს (შემდგომში სტუ-ს პერსონალი) ეძლევა რეკომენდაცია, რომ ზედმიწევნით იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულებით.
2. სტუ-ს პერსონალს ეძლევა რეკომენდაცია გადავიდეს დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე.

3. სტუ-ს ის პერსონალი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს სამუშაო ადგილზე, გაფრთხილებული იქნეს, რომ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევის გარდა, დატოვოს სამსახურის შენობა სამუშაოს შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 17:00 საათისა.

4. სტუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლებს მიეცეთ მითითება, რომ მხოლოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წერილობითი მიმართვის საფუძველზე მისცენ უფლება სტუ-ს პერსონალის თანამშრომლებს იმყოფებოდნენ სამსახურებრივ შენობებში სამუშაო საათების ამოწურვის (17:00 საათი) შემდგომ.

5. სტუ-ს პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია შენობებისა და მატერიალური ფასეულობების უსაფრთხოებაზე, მოქმედებენ შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულებით გათვალისწინებული წესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

6. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ბატონ ლევან ტატიშვილს.

7. წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა დაევალოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი

დავით გურგენიძე

